

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

მისო „იმერკრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისთვის

ქ. ქუთაისი  
2016 წ.

---

## შინაარსი:

- 1 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
- 2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 3 სრული შემოსავლის ანგარიშგება
- 4 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
- 5 ფულადი ნაკადების ანგარიშგება.
- 6 ფინანსური მდგომარეობისა და სრული შემოსავლების ანგარიშგებების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები შენიშვნები და განმარტებები

## შპს მისო „იმერკრედიტი“

საქართველო, ქუთაისი, 4600;  
გ. ტაბიძის ქ. #12;  
ტელ/ფაქსი: 0 (431)240116  
ელ. ფოსტა: [kote@imercredit.ge](mailto:kote@imercredit.ge)



## MFO "ImerCredit" Ltd

12, G. Tabidze str.,  
4600 Kutaisi, Georgia  
Tel/Fax: 0(431) 240116  
Email: [kote@imercredit.ge](mailto:kote@imercredit.ge)

25.09.2017

### შპს „კონსაულის“

#### აუდიტორებს

ეს ოფიციალური წერილი მოვამზადეთ თქვენ მიერ ჩატარებულ, შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“ 2016 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, რომლის მიზანია, აუდიტორების მოსაზრების გამოხატვა იმის შესახებ, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ვადასტურებთ, რომ:

#### ფინანსური ანგარიშგება

- შევასრულეთ ჩვენი ვალდებულებები, რომლებიც ეხება ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ამას ითვალისწინებდა 2017 წლის 20 მარტით დათარიღებული აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია სამართლიანად აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად.
- სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის ჩვენ მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები გონივრულია.
- დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობები და ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არის აღრიცხული და განმარტებით შენიშვნებში ასახული.
- ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი ყველა მოვლენა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან განმარტებით შენიშვნებში ასახვას, შესაბამისად იქნა გათვალისწინებული.
- ფინანსურ ანგარიშგებაში შევასწორეთ აუდიტის პროცესში გამოვლენილი ყველა უზუსტობა.
- კომპანიამ შეასრულა ხელშეკრულების ყველა ასპექტი, რომლის დარღვევასაც შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- შევასრულეთ მარეგულირებელი ორგანოების ისეთი მოთხოვნები, რომლის დარღვევასაც შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- კომპანიას ადეკვატური საკუთრების უფლება გააჩნია ყველა აქტივზე; ადგილი არ ჰქონია კომპანიის აქტივებზე ყადაღის დადების შემთხვევას, ან კომპანიის აქტივების დატვირთვას სხვა სახით, გარდა იმისა, რაც ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაშია აღწერილი;

აუდიტორებისთვის მიწოდებული ინფორმაცია

- ჩვენ თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ:
  - ჩვენთვის ცნობილი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის შესაფერისი ყველა ინფორმაცია, როგორცაა, მაგალითად, სააღრიცხვო ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა საკითხები;
  - თქვენ მიერ აუდიტის მიზნებისათვის მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია; და
  - კომპანიაში იმ პირებთან შეუზღუდავი კონტაქტის შესაძლებლობა, ვისგანაც, თქვენი აზრით, მიზანშეწონილი იყო აუდიტორული მტკიცებულებების მიღება.
- ყველა ოპერაცია ასახულია სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოგაწოდეთ ჩვენი შეფასების შედეგები იმის რისკისა, რომ თაღლითობის გამო შეიძლება ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარი იყოს;
- გაგიმჟღავნეთ ჩვენთვის ცნობილი სრული ინფორმაცია თაღლითობასთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებით, რასაც შეეძლო გავლენის მოხდენა სამეურნეო სუბიექტზე და რაშიც მონაწილეობდნენ:
  - ხელმძღვანელობა;
  - თანამშრომლები, რომლებიც შიდა კონტროლთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ; ან
  - სხვები, როდესაც თაღლითობას შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- გაგიმჟღავნეთ თაღლითობის ბრალდებებთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია, რომელიც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახდენს გავლენას და გვაცნობს თანამშრომლებმა, ყოფილმა თანამშრომლებმა, ანალიტიკოსებმა, მარეგულირებელმა ორგანოებმა და სხვებმა;
- გაცნობეთ კანონმდებლობის დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის ყველა ცნობილი შემთხვევა, რომელთა გავლენა გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;
- გაგიმჟღავნეთ ჩვენთვის ცნობილი, სამეურნეო სუბიექტის დაკავშირებული მხარეების ვინაობა და გაცნობეთ დაკავშირებულ მხარეთა ყველა ურთიერთობისა და ოპერაციის შესახებ.

პატივისცემით,

ტ. კოჭიშვილი

კონსტანტინე კოტიშაძე  
25.09.2017

შპს მისო "იმერკრედიტის"  
დირექტორი





## დამოუკიდებელი აუდიტორის

### დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
„იმერკრედიტი“-ს დამფუძნებლებსა და  
ხელმძღვანელობას

#### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა

კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ


მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორი

კ. დათიაშვილი



28.09.2017წ.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		<u>31.12.2016</u>	<u>31.12.2015</u>	<u>31.12.2014</u>
		ლარი	ლარი	ლარი
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	1	30 804	22 202	32 081
გაცემული სესხები:	2			
- ძირი		1 554 088	1 702 638	1 010 785
- დარიცხული პროცენტი		181 969	201 103	186 480
ძირითადი საშუალებები	3	189 406	204 618	228 063
არამატერიალური აქტივები	4	1 266	1 636	2 046
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		176	158	-
საგადასახადო მოთხოვნები	5	51 332	826	11 102
გადავადებული საგადასახადო აქტივი	6	19 724	33 077	100 350
სხვა მოთხოვნები	7;17	47 710	53 539	28 122
<b>სულ აქტივები</b>		<b>2 076 476</b>	<b>2 219 799</b>	<b>1 599 028</b>
<b>ვალდებულებები</b>				
მიღებული სესხები:				
- ძირი	8	1 724 620	776 308	869 336
- დარიცხული პროცენტი	17	12 841	7 658	4 115
საგადასახადო ვალდებულებები	9	662	63 411	375
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	10	-	73 844	112 123
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	11	25 311	27 133	34 127
სხვა ვალდებულებები	12	1 047	761 169	223
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>1 764 481</b>	<b>1 709 523</b>	<b>1 020 300</b>
<b>კაპიტალი</b>				
საწესდებო კაპიტალი		302 000	302 000	302 000
აკუმულირებული მოგება/ზარალი		208 275	-	400 525
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(198 280)	208 275	(123 798)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>311 995</b>	<b>510 275</b>	<b>578 728</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>2 076 476</b>	<b>2 219 799</b>	<b>1 599 028</b>

დირექტორი:

*ბ. ელიშვილი*

პ. კოტიშაძე  
28.09.2017წ.

მთ.ბუღალტერი:

*გ. ესებუა*

გ. ესებუა





		2016 წ.	2015 წ.	2014 წ.
		ლარი	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი		441 407	510 031	538 389
საპროცენტო ხარჯი		(142 541)	(110 976)	(118 096)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	13	<b>298 867</b>	<b>399 055</b>	<b>420 293</b>
სესხის გაუფასურების ანარიცხი		(207 187)	448 688	(419 540)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		<b>91 680</b>	<b>847 743</b>	<b>754</b>
საკომისიო შემოსავალი		8 358	19 602	17 814
ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებული წმინდა მოგება-ზარალი რეალური ღირებულებით		<b>100 038</b>	<b>867 345</b>	<b>18 568</b>
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება-ზარალი		(47 425)	241 650	53 461
სხვა შემოსავალი	14	14 168	5 005	14 551
შრომის ანაზღაურების ხარჯი		(180 761)	(178 675)	(164 307)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(17 524)	(28 139)	(28 369)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(47 204)	(49 842)	(37 020)
მოგება დაბეგრამდე		<b>(178 708)</b>	<b>857 344</b>	<b>(143 117)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	16	(19 572)	(125 797)	19 319
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		<b>(198 280)</b>	<b>731 547</b>	<b>(123 798)</b>

დირექტორი:

*ვ. კოტიშაძე*

ვ. კოტიშაძე  
28.09.2017წ.

მთ.ბუღალტერი:

*[Handwritten signature]*

გ. ესებუა



შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	<u>საწესდებო კაპიტალი</u>	<u>აკუმულირებული მოგება-ზარალი</u>	<u>სულ</u>
31.12.2014 ნაშთი	<u>302 000</u>	<u>266 437</u>	<u>568 437</u>
გასული პერიოდის ცვლილება	-	10 291	10 291
31.12.2014 ნაშთი	<u>302 000</u>	<u>276 728</u>	<u>578 728</u>
დივიდენდი	-	(800 000)	(800 000)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 17	-	731 547	731 547
31.12.2015 ნაშთი	<u>302 000</u>	<u>208 275</u>	<u>510 275</u>
დივიდენდი	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი	-	(198 280)	(198 280)
31.12.2016 ნაშთი	<u>302 000</u>	<u>9 995</u>	<u>311 995</u>

დირექტორი:

*Handwritten signature*

კ. კოტიშაძე

28.09.2017წ.

მთ. ბუღალტერი:

*Handwritten signature*

გ. ესებუა



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	12.31.2016 ლარი	12.31.2015 ლარი	12.31.2014 ლარი
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული პროცენტები	418 840	535 383	473 202
გადახდილი პროცენტები	(137 277)	(109 550)	(129 272)
სხვა ოპერაციებიდან მიღებული თანხა	11 519	4 024	11 950
მიღებული საკომისიოები	8 508	19 578	17 795
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(171 256)	(173 998)	(160 582)
	<b>130 334</b>	<b>275 437</b>	<b>213 092</b>
<b>საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:</b>			
კლიენტებისათვის მიცემული სესხები	134 865	83 068	(8 381)
მოძწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(54 750)	(69 856)	(42 729)
გადახდილი გადასახადები (მოგების გარდა)	(2 070)	(748)	(1 315)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე	<b>208 379</b>	<b>287 901</b>	<b>160 668</b>
გადახდილი მოგების გადასახადი	(80 995)	(33 150)	(65 200)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	<b>127 384</b>	<b>254 751</b>	<b>95 468</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 941)	(4 285)	(1 235)
ლიზინგის მომსახურების დანახარჯი	(73 845)	(42 840)	(32 424)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	<b>(75 786)</b>	<b>(47 125)</b>	<b>(33 659)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
სესხების მიღება	1 266 818	264 715	661 094
სესხების დაფარვა	(510 675)	(481 395)	(700 562)
გადახდილი დივიდენდები	(800 000)		(50 000)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	<b>(43 857)</b>	<b>(216 680)</b>	<b>(89 469)</b>
<b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ნამატი</b>	<b>7 742</b>	<b>(9 054)</b>	<b>(27 659)</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	860	(825)	(1 501)
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის</b>	<b>22 202</b>	<b>32 081</b>	61 241
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასასრულისათვის</b>	<b>30 804</b>	<b>22 202</b>	<b>32 081</b>

დირექტორი:

*ს. კოტიშაძე* კოტიშაძე  
28.09.2017წ.

მთ. ბუღალტერი:

*გ. ესებუა*  
გ. ესებუა



# ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## I. ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

შპს მისო „იმერკრედიტი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისგმებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. ქუთაისში. რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ჩართულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში და აყვანილია საგადასახადო აღრიცხვაზე 03.12.2007 წ. კომპანიის იურიდიული მისამართია, 4600 ქ. ქუთაისი, გ. ტაბიძის ქ. #12 / რუსთაველის ქ. #11.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მისო „იმერკრედიტი“-ს კაპიტალის 1%-ის მფლობელი პარტნიორი არის არაკომერციული ორგანიზაცია: ააპ „ბიზნესის მხარდამჭერი ინიციატივა“, ხოლო 99%-ის მფლობელი პარტნიორები არიან 7 ფიზიკური პირი.

კომპანიის მიზანია, ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, გააუმჯობესოს კლიენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, აგრო სესხები, სამომხმარებლო სესხები, იპოთეკური სესხები, კომპანიის ბიზნეს სესხები და ა.შ.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

## II. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. კომპანია არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები ძველ სტანდარტებში და ინტერპრეტაციები

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ფასს-ი მოიცავს 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებულ ფასს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც ძალაშია შესული 2015 წლის პირველი იანვრისათვის. გამოცემულია რამოდენიმე ახალი სტანდარტი და სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ცვლილებები, რომელიც ჯერ არ არის ამოქმედებული 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიას არ გამოუყენებია ეს ახალი

სტანდარტები/ცვლილებები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. და ასევე არ შეუფასებია რა გავლენა შეიძლება მოეხდინა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე. ამ ცვლილებებიდან, კომპანიის ოპერაციებზე პოტენციური გავლენა ექნებათ შემდეგს:

ა) ფასს 15 „ამონაგები მყიდველთან ხელშეკრულების მიხედვით“. სტანდარტი გამოყენებული უნდა იქნეს საანგარიშგებო პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ.

ფასს 15 ადგენს მყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებით განპირობებული ამონაგების და ფულადი ნაკადების წარმოშობის ხასიათის, სიდიდის, ვადების და განუსაზღვრელობის შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციის წარდგენის პრინციპის.

ფასს 15 შეცვლის მყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში ამონაგების აღიარების სააღრიცხვო პოლიტიკას. ასევე იცვლება სააღრიცხვო შეფასებებისადმი მიდგომა. სტანდარტის მიხედვით სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ იქნება ფასს 2-ით დარეგულირებული და დამკვიდრდება მათი განცალკევებულად აღრიცხვა. აგრეთვე სტანდარტი ადგენს ამონაგების აღიარებამდე ხელშეკრულების მხარეების მიერ შერულებული ვალდებულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „სახელშეკრულებო აქტივის“ ან „სახელშეკრულებო ვალდებულების“ სახით წარდგენას.

ფასს 16 „იჯარა“. სტანდარტი გამოყენებული უნდა იქნეს საანგარიშგებო პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ.

ფასს 16 „იჯარა“ ჩაანაცვლებს ბასს 17 „იჯარა“. ფასს 16-ის მიზანია მეიჯარეებისა და მოიჯარეების მიერ იჯარის ოპერაციის სამართლიანად წარმდგენი მართებული ინფორმაციის გამჟღავნების უზრუნველყოფა.

სტანდარტი არსებითად ცვლის იჯარასთან დაკავშირებული ოპერაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის პრინციპებს. ეს განსაკუთრებით ეხება მრეიჯარის მიერ ფინანსური ინფორმაციის წარდგენას. ფაქტობრივად ერთნაირი მიდგომით დაექვემდებარება აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია მოიჯარის მხრიდან. ფინანსური იჯარა და ჩვეულებრივი იჯარა განხილული იქნება ერთ კონტექსტში. ასეთ კატეგორიებად იჯარის კლასიფიცირება არ მოხდება მოიჯარესთან. იჯარით მიღებული აქტივი აღიარებული იქნება გამოყენების უფლების ფორმით, ხოლო მასთან დაკავშირებული გადასახდელები საიჯარო ვალდებულებების სახით. იცვლება მათი თავდაპირველი და შემდგომი შეფასების წესები. გამოყენების უფლების სახით აღიარებული აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი იქნება სხვა აქტივებისაგან განცალკევებით.

იჯარის ფინანსურ და ჩვეულებრივ იჯარად კლსიფიცირების პრინციპი და სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითად უცვლელი დარჩება მეიჯარესთან.

აღნიშნული ახალი ფასს-ის შემოღების თანმდევი გახდა გადასინჯვის საფუძველზე ცვლილებების შეტანა მოქმედ სტანდარტებში, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ფასს 16-ის გამოყენების პარალელურად.

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 22 – „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი გადახდა“. ინტერპრეტაცია გამოიყენებული უნდა იქნეს 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ინტერპრეტაციის ვადაზე ადრე გამოყენება.

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 22 განმარტავს თუ როგორ განისაზღვრება ოპერაციის თარიღი იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი

ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, უცხოური ვალუტით ანაზღაურების ავანსად გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაციის კონსენსუსით, აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს ანაზღაურების ავანსად გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. ამასთან, თუ ანაზღაურების ავანსად გადახდა ან მიღება რამდენიმე ნაწილად მოხდება, ოპერაციის თარიღი ცალ-ცალკე უნდა დადგინდეს თითოეული ავანსის გადახდის ან მიღებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეტაპზე ჯერ კიდევ არ გაუკეთებია იმის შეფასება, თუ რა გავლენას მოახდენს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებზე ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები რომლებიც ძალაშია 2016 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებულ პერიოდებზე. კომპანია არ აპირებს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას და მათ გამოიყენებს ძალაში შესვლის თარიღიდან.

### III. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

#### ა. მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

#### ბ. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები კონვერტირდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის შესაბამისი თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხორციელდება ამ თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური პროცენტისა და გადახდების გათვალისწინებით პერიოდის განმავლობაში) და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას (დაკონვერტირებულს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით) შორის.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მოქმედ ვალუტაში კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი ერთეულების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგება ან ზარალში.

#### გ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა 3 თვეზე ნაკლებია.

## დ. ფინანსური ინსტრუმენტები

### დ.1 კლასიფიკაცია

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას ამა თუ იმ კატეგორიაში თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივები, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ სესხების და მოთხოვნების განმარტებას, შესაძლოა ამოღებული იყოს რეალური ღირებულებით აღრიცხული (მოგებაში ან ზარალში ასახვით) ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიიდან, ან გასაყიდად არსებული ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიიდან, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, შეინარჩუნოს მოცემული ფინანსური აქტივი უახლოეს პროგნოზირებად მომავალში; ან დაფარვის ვადამდე.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში, რომელიც შედგება კლიენტებზე გაცემული სესხებისაგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში, სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავენ სესხებსა და სხვა ვალდებულებებს.

კომპანიის სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა ფასი მოქმედ ბაზარზე კოტირებული არ არის.

### დ.2 აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოებს იმ მომენტიდან, როცა კომპანია გახდება ინსტრუმენტის სახელმწიფროსებო პირობების მხარე. ფინანსური აქტივების შეძენის სტანდარტული შემთხვევები აღირიცხება ანგარიშსწორების წარმოების თარიღისთვის.

### დ.3 შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხორციელდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება ოპერაციის ის დანახარჯები რომელიც უშუალოდ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც განისაზღვრება რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებად მოგებაში ან ზარალში ასახვით, და იმ ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოიშვება რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გადაცემისას, რომელიც არ განაპირობებს აღიარების შეწყვეტას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების და მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### დ.4 ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს ძირითადი გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა და მინუს გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. პრემიები და დისკონტები, თავდაპირველი ოპერაციის ხარჯების ჩათვლით, ჩართულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ამ ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

#### დ.5 რეალური ღირებულების შეფასების პრინციპები

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. ვალდებულების რეალური ღირებულება ასახავს შეუსრულებლობის რისკს.

მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასის შესაძლებლობისას, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით.

თუ მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასი არ არსებობს, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან, შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან გარიგება დაიხურება.

#### დ.6 მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივიდან წარმოშობილი შედეგი, აისახება მოგებაში ან ზარალში. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსავალი ან ხარჯი, აღიარდება მოგება-ზარალში ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას ან გაუფასურებისას.

#### დ.7 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა კომპანია გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა კომპანია არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკებსა და სარგებელს და არ აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს.

ფინანსური აქტივი, რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას, დარჩენილი ნებისმიერი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება კომპანიაში, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან იწურება.

კომპანია ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული.

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და ჩამოწერილად განიხილება (მთლიანად ან ნაწილობრივ), სანამ არ იარსებებს ანაზღაურების რეალური პერსპექტივა. ეს არის შემთხვევა, როდესაც კომპანია განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ გააჩნია აქტივები ან უზრუნველყოფილი შემოსავალი, რომლებიც შესძლებენ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირებას, ჩამოწერილი თანხების გადასახდელად. ამასთან, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება შესაძლოა კვლავ იყოს აღსრულების საქმიანობის საგანი, კომპანიის მიმართ მართებული თანხების ამოღების პროცედურების დასაკმაყოფილებლად.



## დ.8 ჩათვლა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ჩათვლილი და ნეტო თანხით წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი უფლება, რომ ჩათვლილ იქნეს აღიარებული თანხები და არის ურთიერთჩათვლის განზრახვა, ან არსებობს ვალდებულების დაფარვისა და აქტივის რეალიზაციის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

## დ.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

## დ.10 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

## ე. გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. თუ არსებობს ასეთი მტკიცებულება, კომპანია განსაზღვრავს გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის თანხას.

ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმ გაუფასურების, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე იმ მოვლენით, რომელიც/რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია მის მომავალ სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომლის სარწმუნოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობას ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას, ფინანსური აქტივის ან აქტივთა ჯგუფის რესტრუქტურისაგან ისეთი პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა, ნიშნებს იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან თავმდეები გაკოტრდა, ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებულ სხვა შესამჩნევ მონაცემებს, მაგალითად, ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფით ცვლილებებს, ან ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

## ე.1 ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შედგება სესხებისა და სხვა მოთხოვნებისგან. კომპანია რეგულარულად ახორციელებს მათ გადახედვას გაუფასურების მაჩვენებლების შეფასების მიზნით.

კომპანია, პირველ რიგში, განსაზღვრავს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს განცალკევებით, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისა და მოთხოვნებისათვის, თუ

ინდივიდუალურად ან ერთიანად სესხებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან აქტივებს არ წარმოადგენენ. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია სესხს აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებსა და მოთხოვნებში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ.

სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით და რომელთათვისაც ხდება და გრძელდება გაუფასურების ზარალის აღიარება, გაუფასურების ერთიანი შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მოთხოვნასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტური მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მოთხოვნის დისკონტირებული მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მათ შორის თავდაპირველი გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი მომავალი ფულადი ნაკადების), რომელიც დისკონტირებულია სესხის ან მოთხოვნის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

მაშინ, როდესაც სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვების მიმართ. კომპანია ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს (და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს), როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც დასრულდება ყველა ის ქმედება, რომელიც გამიზნული იყო სესხის ამოსაღებად.

## ე.2 არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, კომპანიის სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული სააანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების მაჩვენებელი.

არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება არის ამ აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ დაშვებებში. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

## ვ. დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

## ზ. შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენენ სესხის ზოგადი შემოსავლიანობის განუყოფელ ნაწილს, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, ექვემდებარებიან გადავადებას და ამორტიზაციას საპროცენტო შემოსავლის მიმართ, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა მოსაკრებლების, საკომისიოებისა და სხვა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით საოპერაციო იჯარის ვადის ამოწურვამდე. მიღებული საიჯარო სტიმულირება აღიარდება როგორც სრული საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილი, იჯარის ვადის განმავლობაში.

## თ. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების თანხების ჯამისგან. მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლის დასაბეგრი (15%-იანი განაკვეთი) მოგების საფუძველზე.

გადავადებული გადასახადი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულების საბალანსო ღირებულებებსა და მათი შესაბამისი საგადასახადო ბაზის მონაცემებს შორის სხვაობის (დროებითი სხვაობა) შედეგს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს დასაბეგრ მოგებას და გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება გადავადებული საგადასახადო აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების შეფასება და განხილვა და სწორდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს მომავალი დასაბეგრი მოგების მიმდინარე შეფასებები. ნებისმიერი კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია იმ პერიოდების დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის) მიმართ, რომელთათვისაც ივარაუდობა გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვა. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთის და მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებით.

## ი. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა მოიჯარეზე. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია, როგორც მეიჯარე, ფინანსური იჯარის აქტივს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს და წარადგენს დებიტორული დავალიანების სახით, წმინდა საიჯარო ინვესტიციების ტოლი თანხით.

კომპანიის ჩვეულებრივი იჯარის აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითადი საშუალების შესაბამის კლასში. ჩვეულებრივი იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში. იჯარიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული დანახარჯები, ცვეთის ჩათვლით, აღიარდება ხარჯის სახით.

### კ. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	3- 5%
მანქანა-დანადგარები	14-20%
საოფისე აღჭურვილობა	14-20%
ავეჯი და მოწყობილობები	14-20%
სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
სხვა ძირითადი საშუალებები	20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწვევისთანავე.

### ლ. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

### მ. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება ფიფო მეთოდით.

IV. განმარტებითი შენიშვნები

1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

#	დასახელება	12/31/2016	12/31/2015
		წაშთი	წაშთი
1	ფული სალაროში:		
	ლარი	12	794
	სულ ფული სალაროში:	12	794
2	ფული საბანკო ანგარიშებზე:		
	ლარი	30,792	11,750
	აშშ დოლარი		9,658
	სულ ფული საბანკო ანგარიშებზე:	30,792	21,408
	<b>სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები:</b>	<b>30,804</b>	<b>22,202</b>

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესობა განთავსებულია ბანკებში.

2. კლიენტებზე გაცემული სესხები

დასახელება	12/31/2016	12/31/2015
	ლარი	ლარი
ძირი	1,554,088	1,702,638
დარიცხული პროცენტი	181,969	201,103
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	1,736,058	1,903,741
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		
სამომხმარებლო	504,767	1,074,692
ვაჭრობა	635,729	618,697
სოფლის მეურნეობა	67,247	83,814
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	26,125	859
დანარჩენი სფერო	441,749	142,481
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	1,675,618	1,920,543
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	1,675,618	1,920,543
გაუფასურების რეზერვი	(121,530)	(217,905)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	1,554,088	1,702,638

კლიენტებზე გაცემული სესხები დაყოფილია სახეებად სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით, ძირითადად მსესხებლის შემოსავლის წყაროსა და სესხის მიზნობრიობის გათვალისწინებით. მეწარმე პირების მიერ აღებული სესხები წარმოდგენილია მსესხებლის ბიზნეს საქმიანობის კატეგორიების მიხედვით (ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და ა.შ.).

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა

დასახელება	12/31/2016	12/31/2015
	ლარი	ლარი
ნაშთი წლის დასაწყისში	217,905	666,593
წმინდა ხარჯი წლის განმავლობაში	(96,375)	(448,688)
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>121,530</b>	<b>217,905</b>

მომდევნო ცხრილი ასახავს გაუფასურების გავლენას კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებაზე კატეგორიების მიხედვით.

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		12/31/2016	12/31/2015	
1	სამომხმარებლო	მთლიანი სესხები	504,767	1,074,692
		გაუფასურების რეზერვი	0	(26,598)
		წმინდა სესხი	504,767	1,048,094
2	ვაჭრობა	მთლიანი სესხები	635,729	618,697
		გაუფასურების რეზერვი	(101,950)	(90,305)
		წმინდა სესხი	533,779	528,392
3	სოფლის მეურნეობა	მთლიანი სესხები	67,247	83,814
		გაუფასურების რეზერვი	(4,500)	(53,275)
		წმინდა სესხი	62,747	30,539
4	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	მთლიანი სესხები	26,125	859
		გაუფასურების რეზერვი	0	0
		წმინდა სესხი	26,125	859
5	მომსახურება	მთლიანი სესხები	400,816	125,023
		გაუფასურების რეზერვი	(15,080)	(47,727)
		წმინდა სესხი	385,736	77,296
6	წარმოება	მთლიანი სესხები	40,933	17,459
		გაუფასურების რეზერვი	0	0
		წმინდა სესხი	40,933	17,459
		<b>1,554,088</b>	<b>1,702,639</b>	

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

შემდგომი ორი ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხს 2015-2016 წლებში.

	მოლიანი	გაუფასურების	წმინდა სესხები	გაუფასურების
	სესხი	რეზერვი		რეზერვის
	ლარი	ლარი	ლარი	%
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები				
სამომხმარებლო				
არავადაგადაცილებული	281,568	0	281,568	0%
30 დღემდე ვადაგადაცილება	11,204	0	11,204	0%
181 დღეზე მეტი	211,996		211,996	0%
სულ	504,767	0	504,767	0%
ვაჭრობა				
არავადაგადაცილებული	248,492	0	248,492	0%
30 დღემდე ვადაგადაცილება	12,573		12,573	0%
181 დღეზე მეტი	374,664	(101,950)	272,714	27%
სულ	635,729	(101,950)	533,779	16%
სოფლის მეურნეობა				
არავადაგადაცილებული	13,103	0	13,103	0%
91-180 დღე ვადაგადაცილება	3,974	0	3,974	0%
181 დღეზე მეტი	50,169	(4,500)	45,669	9%
სულ	67,247	(4,500)	62,747	7%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა				
არავადაგადაცილებული	26,125	0	26,125	0%
31-90 დღე ვადაგადაცილება	0	0	0	0%
სულ	26,125	0	26,125	0%
მომსახურება				
არავადაგადაცილებული	264,571	0	264,571	0%
91-180 დღე ვადაგადაცილება	18,405	0	18,405	0%
181 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	117,840	(15,080)	102,760	13%
სულ	400,816	(15,080)	385,736	4%
წარმოება				
არავადაგადაცილებული	17,742	0	17,742	0%
30 დღემდე ვადაგადაცილება	14,619	0	14,619	0%
91-180 დღე ვადაგადაცილება	8,572	0	8,572	0%
სულ	40,933	0	40,933	0%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	1,675,618	(121,530)	1,554,088	7%

	მოლიანი სესხი	გაუფასურების რეზერვი	წმინდა სესხები	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მოლიან სესხთან
	ლარი	ლარი	ლარი	%
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები				
სამომხმარებლო				
არავადაგადაცილებული	1,048,094	-	1,048,094	-
91-180 დღე ვადაგადაცილება	4,421	(4,421)	-	100%
181 დღეზე მეტი	22,177	(22,177)	-	100%
სულ	1,074,692	(26,598)	1,048,094	2.47%
ვაჭრობა				
არავადაგადაცილებული	528,392	-	528,392	0%
181 დღეზე მეტი	90,305	(90,305)	-	100%
სულ	618,697	(90,305)	528,392	15%
სოფლის მეურნეობა				
არავადაგადაცილებული	30,539	-	30,539	0%
182 დღეზე მეტი	53,275	(53,275)	-	100%
სულ	83,814	(53,275)	30,539	64%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა				
არავადაგადაცილებული	858	-	858	0%
სულ	858	-	858	0%
მომსახურება				
არავადაგადაცილებული	77,296	-	77,296	0%
0-30 დღე ვადაგადაცილება	1,970	(1,970)	-	100%
91-180 დღე ვადაგადაცილება	80	(80)	-	100%
181 დღეზე მეტი	45,678	(45,678)	-	100%
სულ	125,024	(47,728)	77,296	38%
წარმოება				
არავადაგადაცილებული	17,459	-	17,459	0%
სულ	17,459	-	17,459	0%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	1,920,544	(217,906)	1,702,638	11%



**სესხის გაუფასურების გაანგარიშებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები და მოსაზრებები**

ხელმძღვანელობის მიერ გაცემული სესხების გაუფასურების დასადგენად გამოყენებულია კომბინირებული მიდგომა. გაცემული სესხების გაუფასურების დასადგენად მსესხებელთა ერთობლიობიდან გამოიყო ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები, რომელთა შეფასება მოხდა ინდივიდუალურად. გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას გამოყენებული არსებითი დაშვებები მოიცავს: სესხის ხელშეკრულების შესაბამისი გადახდების ვადაგადაცილებას, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებას და სესხის უზრუნველყოფის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალიზების შესაძლებლობას. ამ კომპონენტების გამოყენებით ინდივიდუალურად შეფასებული სესხების გარდა დარჩენილი ჯამური სესხის შესაფასებლად ხელმძღვანელობა იყენებს წარსულში სესხების რესტრუქტურირების გამოცდილებასა და ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ განვითარებულ მოვლენების ანალიზს.

**უზრუნველყოფის ანალიზი**

ანგარიშგებაში წარმოდგენილი გაცემული სესხები უზრუნველყოფილია სრული ოდენობით. სესხები ძირითადად უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, მოძრავი ქონებით (მათ შორის საოჯახო ნივთებით) და ძვირფასი ლითონებით. ასევე, სესხების ნაწილი უზრუნველყოფილია თავდებობებით.

**3. ძირითადი საშუალებები**

	შემენის ღირებულება	ნაშთი	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი
		12/31/2016			12/31/2015
1	მიწა	9,243			9,243
2	შენობა-ნაგებობები	283,570			283,570
3	ოფისის აღჭურვილობა	13,622	1,336		12,286
4	ავეჯი და სხვა ინვენტარი	19,845	605		19,240
5	ტრანსპორტი	4,800	0		4,800
	<b>ჯამი:</b>	<b>331,080</b>	<b>1,941</b>	<b>0</b>	<b>329,139</b>
	<b>ცვეთა</b>	<b>ნაშთი</b>	<b>ცვეთის დარიცხვა</b>	<b>ცვეთის ჩამოწერა</b>	<b>ნაშთი 31.12.15</b>
		42,735			
1	შენობა ნაგებობები	116,586	13,904		102,682
2	ოფისის აღჭურვილობა	9,198	558		8,640
3	ავეჯი და სხვა ინვენტარი	13,225	2,159		11,066
4	ტრანსპორტი	2,666	533		2,133
	<b>ჯამი:</b>	<b>141,675</b>	<b>17,154</b>	<b>-</b>	<b>124,521</b>
	<b>საბალანსო ღირებულება:</b>	<b>189,405</b>	<b>(15,213)</b>	<b>-</b>	<b>204,618</b>

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

შენობა, რომელიც კომპანიის საკუთრებაშია, ასევე შენობა რომელსაც იგი ფლობს ფინანსური იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, დატვირთულია იპოთეკით.

კომპანია საგადასახადო მიზნით იყენებს ძირითადი საშუალებების სრული (100%-ით) გამოქვითვის მეთოდს

4. არამატერიალური აქტივები

	შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.16	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.15
1	პროგრ. უზრუნველყოფა Loan Keeper	6,917			6,917
2	პროგრ. უზრუნველყოფა "ორისი"	1,002			1,002
	ჯამი:	7,919	0	0	7,919
	ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.16	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.15
1	პროგრ. უზრუნველყოფა Loan Keeper	5,811	370		5,441
2	პროგრ. უზრუნველყოფა "ორისი"	842	0		842
	ჯამი:	6,653	370	0	6,283
	საბალანსო ღირებულება:	1,266			1,636

5. საგადასახადო მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1	მოგების გადასახადი	49,962	0
2	ქონების გადასახადი	545	0
3	საშემოსავლო გადასახადი		0
4	სხვა გადასახადი	826	826
	ჯამი:	51,332	826

6. გადავადებული საგადასახადო აქტივი

	მუხლი, რომელსაც უკავშირდება დროებითი სხვაობა	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1	არამატერიალური აქტივი	170	178
2	ფ/პირების საპროც. ვალდებულება	1,325	184
3	დებიტორული დავალიანება	18,229	32,686
4	ვალდებულება შრომის ანაზღაურებაზე	0	30
	ჯამი:	19,724	33,077

7. სხვა მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,892	6,419
2	წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	0	0

3	სასამართლო გადაწყვეტილებით დარიცხული მოთხოვნები	17,337	23,012
4	მოთხოვნა ლიზინგით გაცემულ ქონებაზე	25,480	24,600
5	სხვა დარიცხული მოთხოვნები	0	64
	<b>ჯამი</b>	<b>47,709</b>	<b>54,094</b>

**მოთხოვნები ფინანსურ იჯარაზე**

	დასახელება	2016 წელი (ლარი)
1	საიჯარო ინვესტიციის ნაშთი	25480
2	მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება	18916
3	მთლიანი საიჯარო ინვესტიცია	26536
	მ.შ. 1 წლამდე	9951
	2-5 წლამდე	16585
4	მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება	18916
	მ.შ. 1 წლამდე	7851
	2-5 წლამდე	11064
5	გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	7620
6	პერიოდის განმავლობაში აღიარებული პირობითი საიჯარო ქირა	4404

ფინანსური იჯარის ხელშეკრულების ზოგადი აღწერა

საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია 2015 წლის სექტემბერში 48 თვის ვადით. მინიმალური საიჯარო გადასახდელები შეადგენს 13800 აშშ დოლარს. პირველი 12 თვის საიჯარო გადასადელი თვეში შეადგენს 210 აშშ დოლარს, ხოლო დარჩენილი პერიოდის ყოველთვიური გადასახდელია 313,3 აშშ დოლარი. ფინანსური იჯარის საგანია საცხოვრებელი ბინა, რომლის ფართი შეადგენს 68 კვ. მეტრს. ვადის ამოწურვის შემდეგ ხელშეკრულების საგნის მესაკუთრე ხდება მოიჯარე.

**8. მიღებული სესხები**

საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხებისთვის, რომელთა შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულებით, საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტის და ლიკვიდურობის რისკებთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ.

	დასახელება	2016	2015
		ლარი	ლარი
1	ძირი	1,724,620	776,308
2	დარიცხული პროცენტი	12,841	7,658
		<b>1,737,461</b>	<b>783,996</b>

**კომპანიის ძირითადი კრედიტორები**

	კომპანიის ძირითადი კრედიტორები:	2016	2015
		ლარი	ლარი
1	გრძელვადიანი ვალდებულებები		
	უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისაგან	40,772	168,008

	არაუზრუნველყოფილი სესხები იურიდიული პირიდან	593,800	495,500
	არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებიდან	1,090,048	112,800
		<b>1,724,620</b>	<b>776,308</b>
<b>2</b>	<b>მოკლევადიანი ვალდებულებები (პროცენტი)</b>		
	უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისაგან	302	1,250
	არაუზრუნველყოფილი სესხები იურიდიული პირიდან	3,709	5,183
	არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებიდან	8,830	1,225
		<b>12,841</b>	<b>7,658</b>
	<b>სულ სესხები</b>	<b>1,737,461</b>	<b>783,996</b>

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მიღებული სესხების სტრუქტურის (ვალუტის მიხედვით), უზრუნველყოფის, დაფარვის ვადებისა და გამოყენებული საპროცენტო განაკვეთების შესახებ ინფორმაცია მოტანილა შემდეგ ცხრილში.

**ვადები და ვალდებულების დაფარვის სქემა**

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	2016		2015	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისაგან	აშშ დოლარი	10%	2017	40772	40772	168008	168008
არაუზრუნველყოფილი სესხები სხვა ფიზიკური პირებისაგან	ლარი	10-12%	2018	21800	21800		
არაუზრუნველყოფილი სესხები სხვა ფიზიკური პირებისაგან	აშშ დოლარი	10-12%	2018	1068249	1068249	112800	112800
არაუზრუნველყოფილი სესხები იურიდიული პირებიდან	ლარი	12%	2020	593800	593800	495500	495500
<b>სულ საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ვალდებულებები</b>				<b>1 724 621</b>	<b>1 724 621</b>	<b>776,308</b>	<b>776,308</b>

9. საგადასახადო ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1	მოგების გადასახადი		22,993
2	საშემოსავლო გადასახადი	2	40,000
3	საშემოსავლო გადასახადი 5% იურდ/პირებიდან	195	315
4	საშემოსავლო გადასახადი 5% ფ/პირებიდან	465	65
5	ქონების გადასახადი		38
6	მიწის გადასახადი		1
	<b>ჯამი</b>	<b>662</b>	<b>63,411</b>

10. ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე

	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
არასაცხოვრებელი ფართი		
საბალანსო ღირებულება	115,530	124,533
სალიზინგო ვალდებულება	0	73,844
მინიმალური საიჯარო გადასახდელები:	0	10,710
მ.შ. ერთ წლამდე	0	10,710
2-5 წლამდე	0	60,000
მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება:	-	-
მ.შ. ერთ წლამდე	0	67,522
2-5 წლამდე	-	-
<b>ხარჯად აღიარებული პირობითი საიჯარო ქირა</b>	<b>262</b>	<b>4,734</b>

პირობითი საიჯარო გადასახდელი განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ანალოგიური აქტივის საბაზრო ღირებულებისა და საბაზრო სასესხო განაკვეთის გათვალისწინებით.

კომპანია უფლებამოსილი იყო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შეისყიდა ხელშეკრულების საგანი აქტივის შეთანხმებული ნარჩენი ღირებულებით 60000 ლარად. 2016 წელს სრულად იქნა გამოსყიდული ხელშეკრულების საგანი.

11. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები

	მუხლი, რომელსაც უკავშირდება დროებითი სხვაობა	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1	ძირითადი საშუალებები	24,881	26,743
2	მისაღები საურავი და ჯარიმები	430	390
	<b>ჯამი</b>	<b>25,311</b>	<b>27,133</b>

12. სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი	ნაშთი
		31.12.16	31.12.15
1	ვალდებულებები მომსახურებიდან	952	761
2	კლიენტის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხები	95	75
3	ვალდებულება მუშა-მოსამსახურებთან		160
4	ვალდებულება დარიცხული დივიდენდით		760,000
5	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე - %		173
	<b>ჯამი:</b>	<b>1047</b>	<b>761,169</b>

13. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	დასახელება	2016	2015
		ლარი	ლარი
1	წმინდა საპროცენტო შემოსავალი		
	კლიენტებზე გაცემული სესხები	441,407	510,031
		441,407	510,031
2	საპროცენტო ხარჯები		
	სესხების საპროცენტო ხარჯი	(142,278)	(104,992)
	საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	(262)	(4,734)
		(142,541)	(109,725)
-	<b>შედეგი</b>	<b>298,867</b>	<b>400,305</b>

14. სხვა შემოსავლები

	დასახელება	2016	2015
		ლარი	ლარი
1	შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	10,600	4,000
2	მიღებული ჯარიმები და საურავები	0	0
3	შემოსავალი ლიზინგიდან	2,900	976
4	დანარჩენი შემოსავალი	668	29
	<b>ჯამი</b>	<b>14,168</b>	<b>5,005</b>

15. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	დასახელება	2016	2015
		ლარი	ლარი
1	სასაქონლო-მატერიალური ხარჯი	4,965	5,606
2	შემენილი მომსახურების ხარჯები	32,799	37,644
3	საქველმოქმედო ხარჯები	2,125	2,500
4	კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	4,063	1,582
5	საგადასახადო ხარჯი	1,487	871
6	სხვა ხარჯები	1,765	1,083
-	<b>ჯამი</b>	<b>47,204</b>	<b>49,287</b>

### 16. მოგების გადასახადის ხარჯი

	დასახელება	2016	2015
		ლარი	ლარი
1	საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო ხარჯი	(8,040)	(65,519)
2	გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი(+)/ხარჯი(-)	3,003	(67,272)
3	გადავადებული საგადასახადო აქტივის სარგებელი(+)/ხარჯი(-)	(14,535)	6,994
4	<b>გადასახადის ხარჯი</b>	<b>(19,572)</b>	<b>(125,797)</b>
5	მოგება - ზარალი დაბეგვრამდე	(178,708)	859,149
6	<b>წმინდა მოგება ზარალი</b>	<b>(198,280)</b>	<b>733,352</b>

### 17. ცვლილება 2015 წლის ფინანსური მდგომარეობის და შედეგის ანგარიშგებებში

	გარემოება	შეცვლილი მუხლები	გავლენა
1	ზედმეტად დარიცხული მოთხოვნის გაუქმება	სხვა მოთხოვნები	(555)
		სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	555
2	სესხის პროცენტის დარიცხვა	დარიცხული პროცენტი	1250
		საპროცენტო ხარჯი	1250
	<b>საერთო გავლენა მოგებაზე</b>		<b>(1805)</b>

### 18. რისკების მართვა და შიდა კონტროლი

#### რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და კომპანიაზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებაზე.

#### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების კომპანიაზე გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

#### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიაზე მოქმედებს ფინანსური პოზიციისა და ფულადი

ნაკადების ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შედეგად. საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდევ ან განაპირობოს ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ რყევებს.

კომპანია პროცენტის დარიცხვას აჩერებს იმ გაცემულ სესხებზე, რომელთა ამოღება გართულებული იყო და სასამართლოს მიერ სათანადო გადაწყვეტილება მიღებული. არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოების გათვალისწინებით, კომპანია უკიდურეს შემთხვევებში მიმართავს სააღსრულებო ბიუროს, კუთვნილი თანხების იძულებით დასაბრუნებლად. პროცენტის დარიცხვა შეჩერებული გაცემული სესხების ჯამური ოდენობა 2016 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 665 ათას ლარს.

**საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზი**

საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვა ხდება საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის შედარებითი მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის:

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მწტი	უპროც ენტო	საბალანს ო ღირ-ბა
<b>31 დეკემბერი 2016</b>							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები						30,804	30,804
კლიენტებზე გაცემული სესხები	770,434	111,896	236,540	719,051	19,666		1,857,587
<b>სულ</b>	<b>770,434</b>	<b>111,896</b>	<b>236,540</b>	<b>719,051</b>	<b>19,666</b>	<b>30,804</b>	<b>1,888,391</b>
ვალდებულებები							
მიღებული სესხები	30,030	17,612	5,971	1,683,848			1,737,461
ფინანსური იჯარა							0
<b>სულ</b>	<b>30,030</b>	<b>17,612</b>	<b>5,971</b>	<b>1,683,848</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>1,737,461</b>
<b>გადაფარვა</b>	<b>740,404</b>	<b>94,284</b>	<b>230,569</b>	<b>-964,798</b>	<b>19,666</b>	<b>30,804</b>	<b>150,930</b>
<b>31 დეკემბერი 2015</b>							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები						22,202	22,202
კლიენტებზე გაცემული სესხები	855,781	135,335	264,518	810,333	55,679		2,121,647
<b>სულ</b>	<b>855,781</b>	<b>135,335</b>	<b>264,518</b>	<b>810,333</b>	<b>55,679</b>	<b>22,202</b>	<b>2,143,849</b>
ვალდებულებები							
მიღებული სესხები	24,961	25,556	165,904	64,121	495,766		776,308
ფინანსური იჯარა	10,448	60,000					70,448
<b>სულ</b>	<b>35,409</b>	<b>85,556</b>	<b>165,904</b>	<b>64,121</b>	<b>495,766</b>	<b>0</b>	<b>846,756</b>
<b>გადაფარვა</b>	<b>820,372</b>	<b>49,779</b>	<b>98,614</b>	<b>746,213</b>	<b>(440,087)</b>	<b>22,202</b>	<b>1,297,093</b>



**საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები**

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები ასახავს ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვამდე შემოსავლიანობის მიახლოებით მაჩვენებელს.

	2016			2015		
	საშუალო ეფექტური განაკვეთი %			საშუალო ეფექტური განაკვეთი %		
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები						
კლიენტებზე გაცემული სესხები	51.74%	52.47%	51.96%	42.3	42.49	42.4
საპროცენტო განაკვეთის						
სესხები	12%	10%		13%	11,4%	
ფინანსური იჯარა	15,0%			15,0%		

**სავალუტო რისკი**

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია ევროში და აშშ დოლარში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო გაცვლითი კურსის გამო.

ქვემოთ მოტანილ ცხრილებში ასახულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო პოზიციის გავლენის სტრუქტურა 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

**31 დეკემბერი 2016**

	ევრო	აშშ დოლარი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		0	0
კლიენტებზე გაცემული სესხები	53731.33	1,040,957	1,094,688
სულ აქტივები	53,731	1,040,957	1,094,688
ვალდებულებები			
სესხები		1,109,020	1,724,620
სულ ვალდებულებები	0	1,109,020	1,724,620
წმინდა პოზიცია	53,731	(68,064)	(629,932)

	ევრო	აშშ დოლარი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		9,658	9,658
კლიენტებზე გაცემული სესხები	50,910	1,357,720	1,408,629
სულ აქტივები	50,910	1,367,378	1,418,287
ვალდებულებები			
სესხები		280,808	280,808
სულ ვალდებულებები	0	280,808	280,808
წმინდა პოზიცია	50,910	1,086,570	1,137,479

ქვემოთ მოცემულია წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი სავალუტო გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		სპოტ განაკვეთი ანგარიშსწორების თარიღისათვის	
	2016 წელი	2015 წელი	2016 წელი	2015 წელი
1 აშშ დოლარი	2.3667	2.2745	2.6468	2.3949
1 ევრო	2.6175	2.5197	2.794	2.6169

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის ხელმძღვანელი. ხელმძღვანელისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი. ხელმძღვანელისათვის წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე წარადგენს სასესხო განაცხადს. ამისათვის ის იყენებს შეფასების მოდელებს და განცხადებაში მოტანილი ინფორმაციის შემოწმების პროცედურებს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები

(ხელმძღვანელი, უფროსი სესხის ოფიცერი და სესხის ოფიცერი) გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

მონიტორინგის საფუძველზე კლიენტის გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცერები და მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. მონიტორინგის შედეგები ყოველთვიურად წარედგინდება კომპანიის ხელმძღვანელს, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მოსალოდნელ რისკებზე. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის დროულ განეიტრალებას.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და საკრედიტო რისკების კონცენტრაცია გაანალიზებულია მე-2 შენიშვნაში.

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა განსხვავებულია. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. სრული შესაბამისობის მიღწევა ფინანსურ ინსტიტუტში იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც სხვადასხვა ტიპისაა.

კომპანია მართავს ლიკვიდურობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადადამდგარი, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსება, რომელიც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს ბანკებისა და სხვა პირებისაგან, რათა შეძლოს სწრაფად და შეუფერხებლად უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს:

- მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განსაზღვრას ძირითადი ვალუტების მიხედვით და ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელი იქნება ამ კუთხით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას;
- ვალდებულებების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- ვალდებულებების დაფინანსებების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული თანხების ანალიზი:

	3 თვემდე	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები						
ფულადი სახსრები და ექვივალენტები					30,804	30,804
გაცემული სესხები	770,434	111,896	236,540	719,051	19,666	1,857,587
სხვა მოთხოვნები					309,614	309,614
სულ აქტივები	770,434	111,896	236,540	719,051	360,084	2,198,005
ვალდებულებები						0
მიღებული სესხები	30,030	17,612	5,971	1,683,848		1,737,461
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე						0
სხვა ვალდებულებები					27,020	27,020
სულ ვალდებულებები	30,030	17,612	5,971	1,683,848	27,020	1,764,481
წმინდა პოზიცია	740,404	94,284	230,569	(964,798)	333,064	433,524

	3 თვემდე	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები						
ფულადი სახსრები და ექვივალენტები					22,230	22,230
გაცემული სესხები	855,781	135,335	264,518	810,333	55,679	2,121,647
სხვა მოთხოვნები	54,094					54,094
სულ აქტივები	909,875	135,335	264,518	810,333	77,909	2,197,971
ვალდებულებები						0
მიღებული სესხები	24,961	25,556	165,904	64,121	495,766	776,308
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	10,448	60,000				70,448
სხვა ვალდებულებები	760,440					760,440
სულ ვალდებულებები	795,849	85,556	165,904	64,121	495,766	1,607,196
წმინდა პოზიცია	114,026	49,779	98,614	746,213	(417,857)	590,775

### 19. კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიზანია განმტკიცდეს საკმარისი გადახდისუნარიანობის ზღვრები. კომპანიის მიზანია შეასრულოს ეს მოთხოვნები და შესაბამისად, იგი აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს, რომ დაიცვას კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი, რათა მან გააგრძელოს პარტნიორთა შემოსავლით უზრუნველყოფა, ასევე უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი რისკის დონის შესაბამისი მომსახურების ფასების დაწესებით.

კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და აქტივებისათვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

კომპანია კაპიტალის სიდიდეს განსაზღვრავს რისკის პროპორციულად. კომპანია ახორციელებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას და მასში კორექტირებები შეაქვს ეკონომიკურ პირობებსა და შესაბამის აქტივებთან დაკავშირებულ რისკის მახასიათებლებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს მესაკუთრეებისთვის გადასახდელი დივიდენდების სიდიდე, დაუბრუნოს მესაკუთრეებს კაპიტალი, გაზრდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

მოცემული დარგის სხვა ერთეულის მსგავსად, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს ვალისა და კაპიტალის ფარდობის კოეფიციენტის საფუძველზე. ეს კოეფიციენტი იანგარიშება შემდეგნაირად: წმინდა ვალი + კაპიტალი. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიანი დავალიანებიდან (რომელიც ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში) ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამოკლებით. კაპიტალი მოიცავს საკუთარი კაპიტალის ყველა კომპონენტს (ე.ი. საწესდებო კაპიტალს, საემისო კაპიტალს, გაუნაწილებელ მოგებასა და გადაფასების რეზერვს). კომპანია არ ახდენს კაპიტალის კორექტირებას, რადგან არ იყენებს ფულადი ნაკადების ჰეჯირებას და შესაბამისად არ გააჩნია კაპიტალის კორექტის ისეთი კომპონენტები, როგორცაა თანხები, რომლებიც საკუთარ კაპიტალში აღიარებული იქნებოდა ფულადი ნაკადების ჰეჯირებასთან დაკავშირებით, ასევე ზოგიერთი ფორმის დაქვემდებარებული ვალი.

2016 წელს სტრატეგია, რომელიც 2015 წლის შემდეგ არ შეცვლილა, მდგომარეობდა ვალისა და კაპიტალის ფარდობის კოეფიციენტის შენარჩუნებაში 3:1-დან 5:1-მდე დიაპაზონში ყველაზე დაბალ დონემდე, რათა შენარჩუნებული ყოფილიყო დაფინანსების ხელმისაწვდომობა, გონივრული დანახარჯების პირობებში. ვალისა და კაპიტალის ფარდობის კოეფიციენტებმა 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა

	დასახელება	31.12.2015 წელი (ლარი)	31.12.2015 წელი (ლარი)
1	სულ ვალი	1,764,481	1,709,523
2	გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	30,804	22,202
3	წმინდა ვალი	1,733,677	1,687,321
4	სულ საკუთარი კაპიტალი	311,995	510,275
5	კოეფიციენტი: ვალი/კორექტირებული კაპიტალი	5.6	3.3

2016 წელს ვალი/კაპიტალი კოეფიციენტის ზრდა ძირითადად, გამოიწვია წმინდა ვალის ზრდამ, რაც განაპირობა დივიდენდის წინასწარმა განაწილებამ. კომპანიამ 2015 წლის დეკემბერში 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 390 ათასი ლარი გაუნაწილებელი მოგების პირობებში, გამოაცხადა 800 ათასი ლარის დივიდენდად განაწილება. ამან განაპირობა საანგარიშგებო წლის მოგების (410 ათასი ლარი) წინასწარი განაწილება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე.

2016 წელს გაიგა 760,000 ლარი დივიდენდის სახით, ასევე ფიზიკური პირებისგან მოზიდულ იქნა სესხის სახით 977,248 ლარი საიდანაც დამფუძნებლებისგან მიღებული სესხი შეადგენს 967,265 ლარს.

**20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

ა) მაკონტროლებელი ურთიერთობები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის არ ჰყავს საკონტროლო პაკეტის მფლობელი. მის კაპიტალის 99% განაწილებულია ფიზიკურ პირზე.

ბ) ოპერაციები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან და ხელმძღვანელობასთან

შემდეგ ცხრილში მოტანილია ინფორმაცია კომპანიის მიერ დაკავშირებული მხარისაგან მიღებულ სესხზე, დაკავშირებული მხარესათვის შრომის ანაზღაურებასა (პრემიის ჩათვლით) და დარიცხულ სესხის პროცენტზე.

	2016 წელი	2015 წელი
	ლარი	ლარი
ხელფასები და პრემია	100,580	102,891
სესხის პროცენტი	51,056	10,747
დაკავშირებული მხარეებიდან აღებული სესხი	876,091	70,650

გ) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2016 წელი	2015 წელი
	ლარი	ლარი
სხვა		
შპს „აუდიტ-პროფესიონალი“	7,080	5,664

შპს „აუდიტ-პროფესიონალს“ ფლობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ოჯახის წევრებთან ერთად.